



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
საკაბრულო პოლიციის დეპარტამენტის  
ღირებულების

**ბ რ კ ა ნ ე ბ ა**



MIA 4 19 00686603



18/03/2019

**უკონტაქტო პატრულირების განხორციელების სამოქმედო ტერიტორიის  
განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „პოლიციის სარგებლობაში არსებულ შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკის, არასტაციონარული (მოდრავე) სიჩქარის მზომი ხელსაწყოებისა და გამოყენების, აგრეთვე მონაცემთა დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №328 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 25 აპრილის №53 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. საგზაო მოძრაობის ორგანიზების და საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, გახშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და ვიდეოკამერების მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, განხორციელდეს უკონტაქტო პატრულირება ყოველდღიურად, 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე უწყვეტად, შემდეგ საგზაო მონაკვეთებზე:

**ა) ქ. თბილისი:**

- ა. ბელიაშვილის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 8 კმ.);
- ვ. ბარნოვი - ი. აბაშიძის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 5.5 კმ.);
- ალ. ყაზბეგის გამზირი - პეკინის ქუჩა - 26 მაისის მოედანი - გმირთა მოედანი - მ. კოსტავას ქუჩა - გ. სააკაძის მოედანი - ჟ. შარტავას ქუჩა - ბულაჩაურის ქუჩა - ზ. ჟვანიას მოედანი - ვაჟა ფშაველას გამზირი (ორმხრივად);
- გრ. რობაქიძის გამზირი (ორივე მიმართულება);
- რ. აგლაძის ქუჩა (ორივე მიმართულება);
- ნ. ხოშარაულის ქუჩა (ორივე მიმართულება);

- შ. რუსთაველის გამზირი - ალ. პუშკინის ქუჩა - ნ. ბარათაშვილის ქუჩა - გრ. ორბელიანის მოედანი - მარჯვენა სანაპირო ზ. გამსახურდიას სახელობის - ვ. გორგასლის მოედანი - ევროპის მოედანი - კ. აფხაზის ქუჩა (ორმხრივად);

#### **ბ) ქ. ბათუმი:**

- ზ. გორგილაძის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 5 კმ.);  
- ი. ჭავჭავაძის ქუჩა - ა. პუშკინის ქუჩა (ორმხრივად);  
- დ. აღმაშენებლის ქუჩის წრიული მოძრაობის გზაჯვარედინიდან ტბელ აბუსერიძის ქუჩა - დ. აღმაშენებლის ქუჩა - ი. კობალაძის ქუჩა (ორმხრივად).

#### **გ) იმერეთის რეგიონი:**

- ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 5 კმ.);  
- ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზირი (ორმხრივად, არაუმეტეს 2.9 კმ.);  
- ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის ქუჩა (ცალმხრივად, აკ. წერეთლის N3-დან N21-მდე, არაუმეტეს 300მ.);  
- ქ. ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზირისა და ცისფერყანწელების ქუჩის კვეთიდან: ცისფერყანწელების ქუჩა - ა. პუშკინის ქუჩა - გ. ფანჯიკიძის ქუჩა (ორმხრივად) - თამარ მეფის ქუჩა - ცენტრალური მოედანი (არაუმეტეს 900 მ.);  
- ქ. ქუთაისის შემოვლითი გზა (სამტრედიიდან ქუთაისისკენ, ცალმხრივად, არაუმეტეს 14 კმ.);  
- ხარაგაულის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტეროტორიებზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ.+300 მ-იდან (რიკოთის გვირაბის დასავლეთი პორტალი) 193-ე კმ.+200 მ-ში (ორმხრივად, არაუმეტეს 49.9 კმ.).

#### **დ) ქ. რუსთავი:**

- ჟ. შარტავას გამზირზე - მეგობრობის გამზირზე - ი. ცურტაველის ქუჩა - თბილისის ქუჩა - მშენებელთა ქუჩა - მ. კოსტავას ქუჩა (ორმხრივად);  
- ი. ჭავჭავაძის ქუჩა (ორმხრივად);  
- შ. რუსთაველის ქუჩა (ორმხრივად);  
- გ. ლეონიძის ქუჩა (ორმხრივად);  
- პ. თოდრიას ქუჩა (ორმხრივად);  
- ნ. გიორგაძის ქუჩა (ორმხრივად);  
- ნ. ლომოურის ქუჩა (ორმხრივად).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უკონტაქტო პატრულირების განხორციელების სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2019 წლის 09 იანვრის №51696 ბრძანება.

3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (info.police.ge).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, გულუას ქ. №10).

დეპარტამენტის დირექტორი  
მიხეილ დილიმაშვილი

